საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავით II

დავით II (გ. XI. 1795), იმერეთის მეფე 1784–89, გიორგი VII-ის ძე, სოლომონ I-ის ბიძაშვილი. ტახტზე ავიდა მსხვილი ფეოდალებისა და კაცია II დადიანის მხარდაჭერით. ამავე დროს ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა სოლომონ I-ის ძმისშვილი დავით არჩილის ძე (შემდგომ სოლომონ II), რ-იც სოლომონ I-ს ტახტის მემკვიდრედ ჰყავდა გამოცხადებული. 1784 დ. II-მ რუსეთში ელჩები გაგზავნა და იმპერატორს ქვეშევრდომობა სთხოვა. ამით უკმაყოფილო თავადები (პაპუნა წერეთელი, ბერი წულუკიძე და სხვ.) დავით არჩილის ძეს დაუკავშირდნენ და მისი გამეფება მოინდომეს. დ. II-მ მოწინააღმდეგე თავადები გადააყენა და მათ ნაცვლად თავისი ერთგული ხალხი დააწინაურა. ამით ურთიერთობა მათ შორის უფრო გამწვავდა. მოწინააღმდეგე თავადთა პოზიცია გაძლიერდა 1788-იდან, როცა მათ ოდიშის ახ. მთავარი გრიგოლ დადიანიც შეუერთდა. დადიანმა *პოლიტ.* მიზნით დავით არჩილის ძე თავის დაზე დააქორწინა. მათხოჯის ბრძოლაში (1789) დ. II დამარცხდა და ახალციხის საფაშოში გაიქცა, დავით არჩილის ძე კი მეფედ გამოაცხადეს სოლომონ II-ის სახელით. 1790 დ. II ოსმალლეკთა ჯარით იმერეთში შეიჭრა, სოლომონ II ტახტიდან ჩამოაგდო და თვითონ გამეფდა. სოლომონმა იმავე წელს დაიბრუნა ტახტი. შემდგომ დ. II ერეკლე II-ის შუამდგომლობით იმერეთში დაბრუნდა, საუფლისწულო მამული მიიღო და ერთხანს იქ ცხოვრობდა. 1792 და 1794 ლეკთა ჯარის დახმარებით კვლავ შეეცადა ტახტის დაბრუნებას, მაგრამ დამარცხდა და ისევ ახალციხის საფაშოში გადაიხვეწა (იქვე გარდაიცვალა).

წყარო: დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის *გამოც.*, თბ., 1962.

ლიტ.: ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე შ., იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784–1789 წწ., «ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე», 1960, ტ. 2; მ ი ს ი ვ ე, იმერეთის სამეფოს საშინაო

პოლიტიკა 1789– 1802 წწ., იქვე, 1962, ტ. 4.

ო. სოსელია